ხელშეკრულება №68

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

1 ოქტომბერი 2016 წელი

ქ.თბილისი .

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით დოიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ვესტა“ (საიდ. კოდი – 202159788)** (შემდგომში - მიმწოდებელი), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია **საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ბროშურებისა და მოსაწვევების** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 CPV-22458000

1.3 ხელშეკრულების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10' მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #99 განკარგულება.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **410 (ოთხასათი)** ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიმწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში **საკუთარი** სახსრებიდან.

2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღისა.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **10 სამუშაო დღის ვადაში.**

3.2 შესყიდვის განხორციელების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნვლყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარდგენას.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტი მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.3 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016** წლის 31 **ოქტომბრის ჩათვლით.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის გათვალისწინებით.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

7. სხვა პირობები

7.1 სადავო საკითხის არსებობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით;

7.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი ს/კ - 201948928 მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 182 ტელ: 2357507 თეატრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დავით ფოლისშვილი	შპს „ვესტა" საიდ. კოდი – 202159788 ბანკი: „საქართველოს ბანკი" BAGAGE22 ა/ა № GE03BG0000000123845700 მის: თბილისი, წერეთლის გამზირი #11 *(მიმწოდებლის ხელმოწერა)*

მიღება–ჩაბარების აქტი#1

ქ. თბილისი

__ ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახ. თეატრი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით დოიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ვესტა" (საიდ. კოდი – 202159788) (შემდგომში : მიმწოდებელი), სახით ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა ჩაიბარა მიმწოდებლისგან **საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ბროშურები და მოსაწვევები** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–10' მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტი–2012 წლის 24 იანვრის საქართველოს მთავრობის #99 განკარგულებაის საფუძველზე მხარეთა შორის 2016 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული #68 ხელშეკრულების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **410** (ოთხასათი) ლარს.

რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

"შემსყიდველი"

სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული
სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

დავით დოიაშვილი

"მიმწოდებელი"

შპს „ვესტა"
საიდ. კოდი – 202159788
ბანკი: „საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ა/ა № GE03BG0000000123845700
მის: თბილისი, წერეთლის გამზირი #11

(მიმწოდებლის ხელმოწერა)